

არაფორმალური განათლება - მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი და
განვითარების სტრატეგია

თეა მაჭარაშვილი ირინა ჯანდიერი პავლე გოგატიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ზედგინიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1	
მადლობა.....	3	
შესავალი.....	4	
ტერმინების განმარტება.....	5	
ლიტერატურის მიმოხილვა.....	6	
საკვლევი საკითხის შერჩევა.....	14	
გორის რეგიონალური საგანმანათლებლო ფონდი.....	15	
დაფინანსება.....	16	
ფონდის განვითარების პერსპექტივა.....	16	
მეთოდოლოგია.....	18	
თვისებრივი ობიექტი.....	კვლევის 18	სამიზნე
შეხვედრა ტრენერებთან.....	18	
ინტერვიუ სტუდენტებთან.....	19	
რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოსწავლეებში.....	22	
ინტერვიუ კვლევა).....	მოსწავლეებთან (26	თვისებრივი
რაოდენობრივი სტუდენტებში.....	კვლევის 27	შედეგები
ინტერვიუ სტუდენტებთან.....	31	
მოთხოვნა-მიწოდებისბალანსი.....	32	
ინტერვენციისდაგეგმვა.....	33	
ინტერვენცია.....	34	

დასკვნა.....49

დანართები

ბიბლიოგრაფია

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს არაფორმალური განათლების განვითარებისა და სამიზნე ობიექტში არსებული ხარვეზების კვლევის ანგარიშს, შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე ადამიანური რესურსების მიწოდების მართებულობის განსაზღვრის დაშვებულობას, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციული ქმედებების აღწერას, მისი წინარე და მომდევნო პერიოდის სიტუაციურ ანალიზს.

კვლევის ეტაპობრივი მიზნებია: არაფორმალური განათლების მნიშვნელობის, საჭიროების და ახლანდელი მდგომარეობის განსაზღვრა, სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნების და მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული ბალანსის შესწავლა, შერჩეულ ორგანიზაციაში ფუნქციონალური ხარვეზების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და ინტერვენციის განხორციელება.

კვლევის სამიზნე ობიექტია „გორის რეგიონალური განვითარების ფონდი“. ორგანიზაციაში არსებული ხარვეზების გამოსავლენად კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების საფუძველზე განხორციელდა. ანალიზის შედეგად განისაზღვრა საზოგადოების დაკვეთა, რაც მეტ-ნაკლებად არგუმენტირებულად ასახავდა ბაზრის მოთხოვნებს. აღმოჩნდა, რომ მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი სრულად დაცული არ იყო.

მიღებული შედეგების საფუძველზე შევიმუშავეთ მოთხოვნადი პროფესიების ნუსხა, გავაერთიანეთ რამდენიმე, შეიძლება ითქვას, მონათესავე პროგრამა, დავსახეთ ცნობადობის ამალღების გზები და შესაძლო ინტერვენციები წარვუდგინეთ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, თუმცა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ამ ქმედებების განხორციელება ვეღარ შევძელით - დამფუძნებლებმა ტრენინგ-ცენტრის დახურვა გადაწყვიტეს.

გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყველა მსგავსი ტიპის არაფორმალურ სასწავლებელს თითქმის ერთი და იგივე პრობლემები აქვს, კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე თითქმის იგივე პრობლემატიკის გამოვლენის შემდეგ, არსებული ინტერვენციები ახლადდაფუძნებულ სასწავლო ცენტრშიც განვახორციელეთ.

საინტერესო და მოთხოვნადი პროგრამების სინთეზმა, დაბალმა ფასმა და სწორად მიწოდებულმა ინფორმაციამ შედეგი გამოიღო. ჩვენ მიერ შეთავაზებულმა სტრატეგიულმა გეგმამ გაამართლა. თუმცა გამოვლინდა ხარვეზებიც, რომელიც ორგანიზაციას დასკვნითი რეკომენდაციების სახით მივეცით.

რეკომენდაციებს წინ სამთვიანი ინტერვენციის შედეგების ანალიზი უსწრებდა. პირველი ეტაპის დასასრულს, რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე (ინსტრუმენტი - კითხვარი), მსმენელთა კმაყოფილების დონე და შენიშვნა/რეკომენდაციების ნუსხაც განისაზღვრა.

პრაქტიკული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არაფორმალური განათლების პროგრამები, ხშირ შემთხვევაში, დგება მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, თუმცა ამის განსაზღვრის მექანიზმები ბუნდოვანია. ძირითადად საკვლევ-სამიზნე ობიექტად გამოყენებულია დასაქმების საიტებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების თემატიკა, ან უბრალო სატელეფონო ზარები, რომლებიც სასწავლო ცენტრში ამა თუ იმ სასწავლო პროგრამების არსებობის საკითხს არკვევენ. მნიშვნელოვანი ფაქტორია მსგავსი ტიპის სასწავლებლების სიმრავლე, რაც კონკურენტუნარიანობის დონეს დაბლა სწევს. მიუხედავად ამისა, სწორად შერჩეული და ხალხის მოთხოვნებს ზუსტად მორგებული პროგრამები ორგანიზაციის შედეგიანად განვითარების საშუალებას იძლევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არაფორმალური განათლება, სასწავლო ცენტრი, შრომითი ბაზარი, სასწავლო პროგრამები, განვითარების სტრატეგია, ინტერვენცია.

მადლობა

დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ მხარდაჭერისთვის ყველა იმ ადამიანს, მეგობარს და კოლეგას, რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე გვერდით გვედგა და ჩვენს დახმარებას ცდილობდა.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ხელმძღვანელს, გიორგი ზედგინიძეს, რომელმაც არაერთი სასარგებლო რჩევა მოგვცა და კვლევის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი დახმარება აღმოგვიჩინა.

მადლობა განათლების ადმინისტრირებისა და მართვის პროგრამის კურსდამთავრებულებს, ნათია გაფრინდაშვილსა და ხათუნა დარბაისელს, რჩევებისთვის და მხარდაჭერისთვის.

მადლობა ყველა ლექტორს, ვინც ამ ორი წლის განმავლობაში, საკუთარი სალექციო კურსის ფარგლებში გვაწვდიდა შესაბამის სასწავლო ლიტერატურას და გვამზადებდა პრაქტიკული კვლევისთვის.

მადლობა გვინდა ვუთხრათ „გორის რეგიონალური განვითარების ფონდი“-ს ხელმძღვანელს, ტრენერებს და კურსდამთავრებულებს, ასევე გორის მე-3 და მე-6 საჯარო სკოლის დირექტორებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს, ააიპ „სიტყვა ქართულის“ ხელმძღვანელობას, ტრენერებს და მსმენელებს კვლევაში ჩართულობისა და ხელშეწყობისთვის.